

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №9

ქ.თბილისი

25.09.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:*

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

1. თეონა ხუფენია - სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. ხათუნა მხეიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
3. ირაკლი ყრუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
4. მარინა ჯავახიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
6. კახაბერ ერაძე - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის რექტორი;
7. შორენა ხუბუნია - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
8. ლაშა კანდელაკიშვილი - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

9. მაია ხურცილავა - შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
10. სოსო გოგილიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. ელზა ნიკოლეიშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
12. კონსტანტინე თოფურია - შპს საქართველოს უნივერსიტეტის კანცლერი;
13. ჯონი მწარიაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
14. არჩილ ჯანგირაშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტი):*

ნინო ჯოჯუა;  
ელენე გვენცაძე;  
თამარ შუდრა.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:00 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში 2014 წლის 8 აგვისტოს შემოსული იყო სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №569980), რომლითაც დაწესებულება ითხოვდა „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის



ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას. შუამდგომლობის საფუძველზე, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, ნაცვლად 80-ისა, განსაზღვრულიყო 200 ადგილით. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-სთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
- 6.„სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

**1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ელენე გვენცაძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა სტანდარტებთან შესაბამისობა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებთან, ასევე მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აქამდე საბჭოზე განხილული საკითხები დადებითად იყო გადაწყვეტილი, რაც მოტივაციას სძენდა უნივერსიტეტის თანამშრომლებს. მან მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, როდის გამოცხადდებოდა აღნიშნულ პროგრამაზე მიღება, რაზეც თეონა ხუფენიამ განმარტა, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღება მომავალი წლიდან გამოცხადდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ გამოიწვია აღნიშნული პროგრამის განხორციელების აუცილებლობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამის მიზეზი შრომით ბაზარზე გამოვლენილი საჭიროებები გახდა. მან აღნიშნა, რომ ზუგდიდი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ გახდა თვითმმართველი ქალაქი, რამაც საჯარო მოხელეთა კადრების აუცილებლობა გამოიწვია. მისი განმარტებით, აბიტურიენტებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ ასევე ცხადყო ამ მიმართულების პრიორიტეტულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მისასალმებელი იყო პროგრამების დამატება შრომითი ბაზრის კვლევის შედეგად და რომ დაწესებულება რეგიონის დაკვეთით მუშაობდა. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა მდგომარეობა იყო უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის მხრივ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობაში მიმდინარეობდა რემონტი, თუმცა, აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა შენობა-ნაგებობა იყო მწყობრში და პროგრამის განხორციელებას არანაირი საფრთხე არ შეექმნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.



კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	საჯარო მმართველობა	საჯარო მმართველობის ბაკალავრი

## 2.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან 2 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო საფეხურზე. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირებული უზუსტობები დაწესებულებამ გაასწორა ვიზიტის მიმდინარეობისას. მათი უმეტესი ნაწილი ეხებოდა თარგმანში დაშვებულ ტექნიკურ ხარვეზებს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამა განხორციელდებოდა ორ ენაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმებში და სილაბუსებში კონსულტაციის საათები ზოგან მითითებული იყო - 5 საათი, ზოგან კი - 15 საათი.

ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული საათები წარმოადგენდა სტუდენტის სალექციო დატვირთვის ნაწილს, რომლებზე დასწრებაც სტუდენტისთვის იყო სავალდებულო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდირებული იყო, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ საჭიროებისამებრ, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, პედაგოგებთან გაეცლოთ ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართ ექსპერტს, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული მატერიალური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ, რაზეც ნინო ჯოჯუამ განმარტა, რომ ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამული ნაწილი და ის ფართი, სადაც მოხდებოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელება.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, განხორციელდებოდა თუ არა აღნიშნული პროგრამები იმ კორპუსებში, სადაც სსსმ პირებისთვის იყო შესაბამისი გარემო შექმნილი. ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ პროგრამებს განახორციელებდა უნივერსიტეტის პირველ და მეექვსე კორპუსში, სადაც იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა თინათინ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ სურდა უნივერსიტეტს ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი პროგრამების განხორციელება. აღნიშნულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტეს, რომ იყო მოთხოვნა უცხოენოვან პროგრამებზე აბიტურიენტთა მხრიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტის დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ პროგრამების ავტორიზაციით დამატების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსსმ



სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო უნივერსიტეტს გააჩნდა და ექსპერტებმაც ის შენობები დაათვალიერეს, სადაც პროგრამა უნდა განხორციელებულიყო. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მოამზადა სპეციალური დანადგარი ეტლით მოსარგებლედ სტუდენტებისათვის, რომელიც უზუნველყოფდა კიბეებზე მათ თავისუფალ გადაადგილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენის დროს, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრს და საბჭოს ექმნებოდა დასაბუთებული შეხედულება დაწესებულებაში არსებული სასწავლო პროცესის შესახებ. ასევე დაამატა, რომ მიუხედავად ვიზიტის დროს გამოწორებული ხარვეზების შინაარსისა, საბჭოს მანინც სურდა მოესმინა აღნიშნული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ სურდა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის ვადების დარღვევა, შესაბამისად პროგრამები მომზადდა მოკლე დროში და აღნიშნული ხარვეზები გამოწვეული იყო თარგმანში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დასკვნაში დაფიქსირებულ შემდეგ ფაქტთან დაკავშირებით - საგანი გეოდეზია 2, როგორც მიზნიდან ჩანდა, ძირითადად პრაქტიკული ხასიათის საგანი იყო და პრაქტიკას დათმობილი ჰქონდა 68 საათი, დამოუკიდებელ მუშაობას კი, 10 საათი, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს ჯამში 3 სთ. სილაბუსის შინაარსში (საველე პრაქტიკა მოცემულია მხოლოდ 10 თემის დასახელებად). საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო თუ როგორ ნაწილდებოდა ეს 68 საათი ამ 10 თემაზე, როდის ასრულებდა დამოუკიდებელ სამუშაოს სტუდენტი. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაითვალისწინა თუ არა ექსპერტების რეკომენდაციები დაწესებულებამ.

საბჭოს წევრმა ნინო სოზაშვილმა აღნიშნა, რომ კომპეტენციის ჩამონათვალში არც ერთ საგანს არ გააჩნდა დაშვების წინაპირობა, რაც ვერ ჩაითვლებოდა ტექნიკურ უზუსტობად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობები მოცემული იყო დეტალურად პროგრამაში, უზუსტობა იყო მხოლოდ სილაბუსებში, კერძოდ, მხოლოდ 4 მათგანში, რომელიც ადგილზევე იქნა გამოსწორებული.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, როგორ შეიქმნა ახალი პროგრამები და რა მექანიზმების არსებობდა ამ კუთხით დაწესებულებაში. პროგრამის ხელმძღვანელის, ნიკოლოზ ნაცვლიშვილის განმარტებით წინაპირობებთან დაკავშირებული საკითხი იყო პიროვნების დარგზე ორიენტირების ეტაპი. ამ დროს სტუდენტს არ მოეთხოვებოდა მოცულობითი და ღრმა ცოდნის ფლობა და პარალელურ რეჟიმში ეუფლებოდა სხვა დისციპლინებს, რაც საბოლოო მიზნის მიღწევაში დაეხმარება. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ რადგან ამ პროგრამებზე სტუდენტთა დიდი მოთხოვნა იყო, დაწესებულებამ გადაწყვიტა უცხოენოვანი პროგრამების განხორციელება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „შენობათა მიკროკლიმატის უზრუნველყოფის სისტემები“, რომლის წინაპირობა იყო „სითხის მექანიკის საფუძვლები“, სითბო მასათა ცვლის თეორია“. ეს საგნები საერთოდ არ ფიქსირდებოდა პროგრამაში, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ სითხეების მექანიკის საფუძვლები იყო იგივე ჰიდრაულიკა, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილი იყო. გარდა ამისა, მან დაამატა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული დისციპლინა იყო თავისუფალი საგნების ჩამონათვალში და სტუდენტს შეეძლო მისი არჩევა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე პროგრამა იყო გამართული და მზად იყო მუშაობის დასაწყებად.



საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ავტორიზაციის პროცესის მიზანი იყო დაწესებულებების დახმარება განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და არა მხოლოდ შეცდომების აღმოჩენაზე ორიენტირება. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეხმარათ თუ არა რეალურად ექსპერტთა რეკომენდაციები პროგრამის დახვეწა-გაუმჯობესებაში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ექსპერტთა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა პროგრამის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ პოგრამებს ქართულ ენაზე, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ქართულ ენაზე აღნიშნული პროგრამები არ ხორციელდებოდა, თუმცა მშენებლობის პროგრამა მოიცავდა წყალმომარაგების პროგრამის კომპონენტებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციით პროგრამების დამატების შემთხვევაში, სტუდენტთა მიღება განხორციელდებოდა 2015-2016 სასწავლო წელს.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტის პერიოდში პროგრამებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები იყო აღმოფხვრილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტისათვის წყალმომარაგების და წყალანიერების სისტემების მშენებლობის (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საინჟინრო მენეჯმენტის (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტისათვის წყლის ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტისათვის წყალმომარაგების, წყალანიერების და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.



კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებებს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - თინათინ ბრეგვაძემ.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	საინჟინრო მენეჯმენტი (რუსულენოვანი)	მენეჯმენტის ბაკალავრი
ბაკალავრიატი	წყალმომარაგების და წყალანირების სისტემების მშენებლობა (რუსულენოვანი)	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში
მაგისტრატურა	წყლის ინჟინერია (ინგლისურენოვანი)	ინჟინერიის მაგისტრი წყლის ინჟინერიის სპეციალიზაციით
მაგისტრატურა	წყალმომარაგება, წყალანირება და წყლის რაციონალური გამოყენება და დაცვა (ინგლისურენოვანი)	მშენებლობის მაგისტრი წყალმომარაგებისა და წყალანირების სპეციალიზაციით

### 3. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომაზე ექსპერტთა გამოუცხადებლობის გამო საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დაკვნაში ხარვეზები არ იყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა დაესაბუთებინა ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა ერაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA ოთხი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. დაწესებულება თავდაპირველად ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, 2013 წლიდან დაიწყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან და იყო აღნიშნული ორგანიზაციის წევრი. კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დაწესებულების მიმართულება იქნებოდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც ფინანსებთან და მის მართვასთან იყო დაკავშირებული. მისი განმარტებით, რადგან დაწესებულებას კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აქედან გამომდინარე დადგა საჭიროება ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. კახაბერ ერაძის განმარტებით, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ხდებოდა უცხო ენის ცოდნის ისეთი დონის მიღწევა, რაც უცხო ქვეყნებში სასწავლებლად იყო აუცილებელი. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას გააჩნდა სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსი, რათა მოემზადებინა კონკურენტუნარიანი კადრები.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, სტუდენტთა რა რაოდენობის მიღებას გეგმავდა დაწესებულება, რაზეც კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ზუსტი რაოდენობის დადგენა ჯერჯერობით არ შეეძლო. მან დამატებით განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეები ჩაირიცხებოდნენ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

საბჭოს წევრი, ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, რა მექანიზმები ჰქონდა შემუშავებული დაწესებულებას სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და აქვე დაამატა, რომ ინგლისურენოვანი კურსების წარმართვა მოითხოვდა ისეთი ადამიანური რესურსის ყოლას, რომელსაც შეეძლო უცხო ენაზე სასწავლო კურსების წაკითხვა.



დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა ერაძემ აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის მოზიდვა არ წარმოადგენდა სირთულეს შესაბამისი ანაზღაურების პირობებში. ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ხარისხის მართვისა და გაუმჯობესების მექანიზმი შემუშავებული, რომელიც დახვეწის პროცესში იყო. მან აქვე დაამატა, რომ შეფასების ინსტრუმენტები განხილული იყო საბჭოზე. კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ შეფასების შედეგად დაწესებულება პერიოდულად აწარმოებდა ადამიანური რესურსების გადახალისებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა სხდომას დასწრებოდნენ უშუალოდ ის ექსპერტები, რომლებიც ვიზიტზე იმყოფებოდნენ, რაზეც ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ მუდმივად ხდებოდა ექსპერტების ინფორმირება მოსალოდნელ სხდომებთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, სამწუხაროდ ექსპერტებმა აღნიშნულ სხდომაზე ვერ მოახერხეს მოსვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გეგმავდა თუ არა სამომავლოდ პროგრამის შემოტანას აკრედიტაციაზე, რაზეც კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ იგეგმებოდა პროგრამის აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი -0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი



#### 4. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზები გამოასწორდა იმავე პერიოდში. ნინო ჯოჯუამ საბჭოს წევრებს მოახსენა აღნიშნული შენიშვნები:

##### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

###### 1.1 საბაკალავრო პროგრამა - ფსიქოლოგია:

1. ზოგიერთ სილაბუსში არ იყო ჩაშლილი დეტალურად შეფასების კომპონენტები. („ლოგიკის შესავალი“, „პრაქტიკა - ფსიქოთერაპია“, „ფსიქოლოგიური კონსულტაცია“, „პრაქტიკა - ჯგუფური თერაპია“). ხოლო, „აკადემიური წერის სილაბუსში“ შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილი იყო ნაწილობრივ - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, და არა შუალედური გამოცდის შემთხვევაში.

2. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში“. პროგრამაში არ იყო შეტანილი ამ კვალიფიკაციისათვის აუცილებელი საგნები სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან (ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერება, მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია), რაც უფრო ვიწრო სპეციალიზაციას შეესაბამებოდა.

###### 1.2 საბაკალავრო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია:

1. საბაკალავრო პროგრამის საგნებში რუსული ენა 1 (A1) და რუსული ენა 2 (A2) სწავლის შედეგების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ A1-ში მოცემული შედეგები უფრო რთულია და უფრო ვრცლად იყო გაწერილი, ვიდრე A2-ში, რაც არღვევდა თანდათონობით უფრო მაღალ შედეგზე გასვლის პრინციპს.

###### 1.3 საბაკალავრო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები:

1. საბაკალავრო პროგრამაში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში“. პროგრამაში არ იყო შეტანილი ამ კვალიფიკაციისათვის აუცილებელი საგნები სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან - ფსიქოლოგიიდან, ხოლო სასწავლო კურსი პოლიტიკური პიარი ( იგი მოიაზრებოდა როგორც მასობრივი კომუნიკაცია/ ჟურნალისტიკის შესაბამის სასწავლო კურსად) სასწავლო პროგრამის მიხედვით წარმოადგენდა სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსს.

2. სასწავლო კურსში „გეოპოლიტიკის შესავალი“ - არ იყო მოცემული შეფასების კომპონენტის სემინარის კომპონენტების ჩაშლა.



3. სასწავლო კურსის „სტრატეგიული აზრის განვითარების ისტორია“ წინაპირობებში „გეოპოლიტიკის შესავალის“ ნაცვლად მითითებული იყო „გეოპოლიტიკა“.

4. ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა (სილაბუსის მიხედვით) და სწავლის შედეგების რუკას შორის არსებობდა შეუსაბამობა, მაგ. დასავლური აზროვნების ისტორია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, აკადემიური წერა, პრეკალკულუსი, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია და სხვა.

5. გარკვეული სასწავლო კურსების (საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, დასავლური ომების ისტორია, პოლიტიკური პიარი) ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო რუსულენოვანი ლიტერატურა, მაშინ როდესაც რუსული ენის ცოდნა მოთხოვნილი არ იყო პროგრამის წინაპირობებით და პროგრამის მიხედვით რუსული ენის სასწავლო კურსი არჩევითია.

6. ზოგიერთ სილაბუსში არ იყო ჩაშლილი დეტალურად შეფასების კომპონენტები (ლოგიკის შესავალი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, გერმანული A1, გერმანული ენის კურსი A2, გერმანული ენის კურსი 3(B/1), გერმანული ენის კურსი 4(B/1+) , ზოგადი სტატისტიკა, ორგანიზაციული ქცევა, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.). ხოლო, აკადემიური წერა, ეკონომიკის საფუძვლები, სამართლის საფუძვლები და სხვა შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია ნაწილობრივ. ამ სასწავლო კურსებში კრიტერიუმები ჩაშლილი იყო მხოლოდ დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, ხოლო შუალედური გამოცდის შემთხვევაში კი - არა.

სტუდენტების მიღწევების შეფასება რეგულირდებოდა დებულებით „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ფუნქციები და სტუდენტის შეფასების წესი“. გარკვეულ სილაბუსებში მითითებული იყო შეფასების კომპონენტები და კომპონენტების ჩაშლა (რაც გულისხმობდა ინფორმაციას თუ რა შემადგენლებისგან შედგება თითოეული ქულა) მხოლოდ მაქსიმალური ქულის მითითებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების რეკომენდაცია იყო ყველა სილაბუსებში აღნიშნულიყო სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების ქულების ფორმირების კრიტერიუმები.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემასთან დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გასწორება ვიზიტის პერიოდში შუძლებელი იქნებოდა, რადგან საქმე პროგრამისათვის მნიშვნელოვან ნაწილს ეხებოდა და აქვე დაინტერესდა რუსულ ენასთან დაკავშირებით დაფიქსირებული საკითხით.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განმარტა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია. რაც შეეხებოდა საგნებს, დაწესებულებამ თავისუფალი, არჩევითი საგნებიდან სავალდებულო ნაწილში გადაიტანა ყველა ის საგანი, რასაც ეხებოდა ექსპერტთა შენიშვნები. მან აქვე დაამატა, რომ რუსულ ენაში სტუდენტთა ფაქტობრივი ცოდნის დონის გათვალისწინებით მოხდა დონეების გადანაცვლება და წიგნთან შესაბამისობის მოყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე. იგი დაინტერესდა, თუ როგორ მოახერხა დაწესებულებამ მსგავსი უზუსტობის გასწორება ვიზიტის პერიოდში.

აღნიშნულ შეკითხვაზე ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში შეფასების წესი რეგულირდებოდა დებულებით და ექსპერტებმა მხოლოდ დამატებითი რეკომენდაცია დააფიქსირეს დასკვნაში. მან ასევე დაამატა, რომ შესწორების შეტანა მოხდა სილაბუსებში ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში კვალიფიკაციის მისანიჭებელ აუცილებელ საგნებთან დაკავშირებულ ხარვეზზე, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული სავალდებულო საგნები მოცემული



იყო არჩევითი საგნების ჩამონათვალში. ვიზიტის პერიოდში მოხდა მათი ატანა სავალდებულო საგნების ჩამონათვალში, შესაბამისად არჩევითი საგნები დარჩა უფრო ნაკლები რაოდენობით.

საბჭოს წევრი, ნინო სოზაშვილი დაინტერესდა რუსულენოვან წიგნებთან დაკავშირებული საკითხით, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობდა კარგი საბიბლიოთეკო ფონდი შესაბამისი ლიტერატურით, გარდა ამისა, დაწესებულება გეგმავდა საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას რიდერებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა დასკვნაში წარმოდგენილი ყოფილიყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ ადამიანური რესურსების მიმართულებით დასკვნაში მითითებული უნდა ყოფილიყო პროგრამაში ჩართული პროფესორების რაოდენობა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალიდან 10 მათგანი იყო ჩართული პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება დასკვნაში, ადამიანური რესურსების ნაწილში დაფიქსირებულ ფაქტზე. კერძოდ იმაზე, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევით სასწავლო კურსებს „კულტუროლოგია 1“ და „კულტუროლოგია 2“ კითხულობდა დავით ლოლუა. მისი პირადი საქმის მიხედვით აღნიშნული პიროვნება იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ამასთან მისი სამუშაო გამოცდილება დაკავშირებული იყო ტურიზმის სფეროსთან, მიჰყავდა სასწავლო კურსები ტურიზმის მიმართულებით და ამ მიმართულებით ჰქონდა სამეცნიერო შრომებიც.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დავით ლოლუას პროფესიული საქმიანობა მთლიანად უკავშირდებოდა ტურიზმის სფეროს, თუმცა ამ საგანზე მითითებული იყო ორი ადამიანი, ერთი თეორიული კურსის და მეორე სემინარების ნაწილში. დავით ლოლუა სემინარების ნაწილში იქნებოდა კურსის ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრი, თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ კვლევების ჩატარებისათვის გამოყოფილი თანხა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ პროფესორებისთვის, თუ თანხა გათვალისწინებული იყო ასევე სტუდენტებისთვისაც. მოცემულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული თანხა გამოყოფილი იყო მხოლოდ პროფესორებისთვის. დაწესებულება სტუდენტებისთვის ცალკე გამოყოფდა ფინანსებს.

საბჭოს წევრი თინათინ ბრეგვაძე ასევე დაინტერესდა დაწესებულებაში დასაქმებული რომელიმე პროფესორი აქვეყნებდა თუ არა სტატიებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი ჰყავდა მოზიდული, რომლებიც აქვეყნებდნენ თავიანთ შრომებს სხვადასხვა ჟურნალებში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამები აკმაყოფილებდნენ ავტორიზაციის სტანდარტის ყველა მოთხოვნას.

საბჭოს წევრმა, თინათინ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ აპირებდა უნივერსიტეტი კონკურენცია გაეწია ფსიქოლოგიის მიმართულებით სხვა უმაღლესი დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ამ პროგრამის განხორციელების ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტეს, რომ ამას მაღალი სწავლების ხარისხით მოახერხებდა. გარდა ამისა დაწესებულებას ჰქონდა კავშირი გერმანულ პროფესორებთან, რომლებიც მზად იყვნენ თანამშრომლობისათვის.



საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, კონკრეტულად რომელ გერმანელ პროფესორებთან ჰქონდათ კავშირი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად სახელების დასახელება არ შეეძლო.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა დაწესებულებაში სწავლის საფასურით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლების საფასური 1800 ლარს შეადგენდა, ხოლო სამომავლოდ იგეგმებოდა აღნიშნულის 1500 და 1000 ლარამდე შემცირება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის საფასური თავდაპირველად შეადგენდა 2250 ლარს და დაწესებულება აკეთებდა 20%-იან შეღავათს მათთვის, ვინც ეროვნული გამოცდების დროს პირველ და მეორე პოზიციაზე უპირატესობას მიანიჭებდა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ციფრები დაუჯერებელი იყო და დაინტერესდა სრული პროფესორის ანაზღაურებით, რაზეც ლაშა კანდელაკიშვილმა განმარტა, რომ სრული პროფესორის ანაზღაურება დაახლოებით 1000-დან 1500 ლარამდე მერყეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებებს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - ლიკა ქათამაძემ.

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 201954956) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ფსიქოლოგია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში
ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობები	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
ბაკალავრიატი	ინგლისური ფილოლოგია	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი





## 5. შპს საქართველოს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის დირექტორის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭო დაინტერესდა დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიზეზით, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ მხოლოდ 1 პროგრამის დამატება, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიშში მოცემული იყო, რომ დაწესებულება გეგმავდა 2 პროგრამის დამატებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯონი მწარიაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია სჭირდებოდა, ამიტომ შეიკავეს თავი ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის გზით დაემატებინათ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სამომავლოდ ასევე იგეგმებოდა ფარმაციის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჯგუფის წარმომადგენელმა, თამარ შუდრამ წარადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გამოვლენილი უზუსტობები ვიზიტის ფარგლებშივე გასწორდა. მატერიალური ბაზისა და ადამიანური რესურსის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფს უზუსტობები არ გამოუვლენია. რაც შეეხებოდა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ უზუსტობას, თამარ შუდრამ განაცხადა, რომ იგი პრობლემატური არ იქნებოდა, რადგან სტუდენტების ჩარიცხვას სამინისტრო ახორციელებდა და შეცდომის ალბათობა მინიმალური იყო.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი პროგრამის წინაპირობებში არაორგანული და ზოგადი ქიმიის კურსის დამატების მიზეზით დაინტერესდა, რის თაობაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული კურსი უნივერსიტეტში უკვე არსებობდა, სპეციალურად პროგრამისთვის არ შექმნილა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, მისი წინაპირობებში დამატება სასურველი იქნებოდა. დამატებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ორგანული ქიმიის კურსი მაღალ დონეზე ისწავლებოდა და ბიოქიმიის კურსის წინაპირობას არ წარმოადგენდა - სტუდენტებს ორივე კურსის გავლა ერთდროულად შეეძლო.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანამშრომლები კონკურსის წესით იყვნენ შერჩეულები და პირადი საქმეები სრულყოფილი იყო. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადად, კვალიფიციური კადრების პრობლემას ნამდვილად აწყდებოდნენ და



თანამშრომლების შერჩევასა ინგლისური ენის ცოდნასა და პრაქტიკას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ჯონი მწარიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე აკადემიურ პერსონალს 18 თანამშრომელი წარმოადგენდა, ხოლო მოწვეული პედაგოგების რიცხვი 19 იყო.

საბჭოს წევრი, ნინო სოხაშვილი პერსონალთან გასაუბრებების საკითხით დაინტერესდა, თუმცა თამარ შუდრამ განუმარტა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის პროცესი პერსონალთან გასაუბრებას არ ითვალისწინებდა და კმაყოფილება გამოთქვა ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების პრაქტიკასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ თავისუფალ ადგილების ყოველწლიურად უცხოელი სტუდენტებით შევსება, ქვეყნისთვის დიდ საგარეო ინვესტიციას მოიტანდა. ნინო სოხაშვილმა განაცხადა, რომ მთავარი ხარისხზე ორიენტირება იყო.

საბჭოს წევრი თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა აღნიშნულ პროგრამას გათვლა რომელიმე კონკრეტულ რეგიონზე. წარმომადგენელმა უარყო აღნიშნული მოსაზრება.

თინათინ ბრეგვაძე სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის არსებობით დაინტერესდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება სამი წლის განმავლობაში მუშაობდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე, საზღვარგარეთ მართავდა სემინარებს, აფორმებდა მემორანდუმებს და გეგმავდა სამომავლო ნაბიჯებსაც.

თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განუცხადა, რომ პროგრამაზე სამედიცინო და ტექნიკური უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორებიც ასწავლიდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველო უნივერსიტეტისათვის ფარმაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - ლიკა ქათამაძემ.

#### გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტს (ს/კ: 205037137) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:



აკადემიური უმღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მიხედვით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)	ფარმაციის ბაკალავრი





6. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ავტორიზაციის საბჭო წევრმა, ნინო სოზაშვილმა განაცხადა თვითაცილება, შესაბამისად საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მიიღო მონაწილეობა.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ლაშა მარგიშვილმა საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2697-ით, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 80-ით.

ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრში 2014 წლის 8 აგვისტოს შემოსული სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №569980), რომლითაც დაწესებულება ითხოვდა „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას. ცენტრში წარმოდგენილი წერილის თანახმად, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, ნაცვლად 80-ისა, განსაზღვრულიყო 200 ადგილით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 231187168) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2697-ით, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:40 საათზე.

თავმჯდომარე  
ირინა ხანთაძე



მდივანი  
ლიკა ქათამაძე

